ხელშეკრულება №39

კასპი 23 მარტი 2018 წელი

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის მანანა ხვთისიაშვილის სახით, რომელიც მოქმედებს დებულების საფუძველზე ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ი/მ ზაზა სეთურიძე შემდგომში „მომწოდებლად" წოდებული ზაზა სეთურიძის სახით, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, ი/მ ზაზა სეთურიძე-მ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას“ საბავშვო ბაღებისათვის მოაწოდოს გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები.

2. შესრულებული სამუშაოს ვადები და ღირებულება

2.1. საქონლის შეძენა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.
2.2. მთლიანი ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.
2.3 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე,რომელიც დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერით.
2.4 მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3.2 ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში (ლარი) გადარიცხვით.
3.3 ანგარიშსწორება წარმოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მითითებული რვანიშნა კოდით: 31500000 (31531000).
3.4 ანგარიშსწორება მოხდება გადარიცხვით საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.
3.5 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მოახდინოს ანგარიშსწორება ნაწილობრივ.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2. გადაუხადოს „მომწოდებელს“ საქონლის ღირებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში .
4.3. „მომწოდებელს“უფლება აქვს:
4.4. მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით დათვალისწინებული პირობებით.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ხელშეკრულებით შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მოწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება ,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით დათვალისწინებულ პირობებთან და შესყიდვის მოთხოვნებთან.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 4 მაისამდე.

8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

,,კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი
აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;
მისამართი: კასპი, საკაძის ქ. №68
ს/კ 232559781
ტელ: 577 16 70 05

დირექტორი: მანანა ხვთისიაშვილი

„მომწოდებელი“
ი/მ ზაზა სეთურიძე
მისამართი: კასპი საკაძის ქ.#98ა
ს/კ 24001009287
ა/ნ GE63TB7982836010100016
საბანკო რეკვიზიტები:
TBCBGE22 სს ,,თიბისი ბანკი“
ტელ: 555 72 21 55

ი/მ ზაზა სეთურიძე